ერთხელ მოციქულმა მუჰამმადმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) რაღაც ახსენა და თქვა: "ეს მოხდება მაშინ, როცა ცოდნა გაქრება

ზიად იბნ ლაბიდისაგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოცემულია, რომ მან თქვა: ერთხელ მოციქულმა მუჰამმადმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) რაღაც ახსენა და თქვა: "ეს მოხდება მაშინ, როცა ცოდნა გაქრება". მე ვთქვი: "ო, ალლაჰის მოციქულო, როგორ შეიძლება ცოდნა გაქრეს, როცა ჩვენ ვკითხულობთ ყურანს, ვასწავლით ჩვენს შვილებს და ჩვენი შვილები ასწავლიან თავიანთ შვილებს განკითხვის დღემდე?" მან თქვა: "დაგკარგოს შენმა დედამ ო, ზიად! მე შენ გხედავდი ქალაქ მედინას ყველაზე მცოდნე კაცად. განა ეს ებრაელები და ქრისტიანები არ კითხულობენ თორასა და ინჯილს, და არ ასრულებენ არაფერს მისგან, რაც იმ ორივე წიგნშია?!"

[სანდო სხვა ჰადისით] [გადმოსცა იბნ მააჯამ]

მოციქული მუჰამმაედი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თავისი საჰაბებს შორის იჯდა და თქვა: "ეს არის დრო, როცა ცოდნა ადამიანებს წაერთმევათ და დაკარგავენ მას". ზიად იბნ ლაბიიდ ალ-ანსარი (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გაოცდა და მოციქულ მუჰამმადს (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) ჰკითხა: მან თქვა: „როგორ შეიძლება ცოდნა წაგვერთვას და დაიკარგოს ჩვენგან?! ჩვენ ხომ წავიკითხეთ ყურანი და დავიზეპირეთ ის; და ვფიცავ, ჩვენ მას წავიკითხავთ და ვასწავლით ჩვენს ცოლებს, შვილებს და შვილიშვილებს". მოციქულმა მუჰამმადმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გაოცებით უპასუხა: „შენმა დედამ დაგკარგოს, ო ზიად! მე შენ მედინის მცოდნე ხალხიდან მიმაჩნდი!“ შემდეგ მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) აუხსნა, რომ ცოდნის დაკარგვა არ ხდება ყურანის დაკარგვის გამო, არამედ ცოდნის დაკარგვა ხდება იმის გამო, რომ ადამიანები აღარ მოქმედებენ მისი სწავლების შესაბამისად. ებრაელებსა და ქრისტიანებს აქვთ თორა და ინჯილი, მაგრამ ეს მათთვის სარგებლობის მომტანი არ აღმოჩნდა, და არც მათში არსებული მიზანი იყო მათთვის სასარგებლო, რადგან ეს მიზანი იმაში მდგომარეობდა, რომ უნდა ემოქმედათ იმის შესაბამისად, რაც მათ შეიტყვეს.

http://sunnah.global/hadeeth/ka/show/65045